

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია:

ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
„საზოგადოება ცოდნის“ საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის
№ 11 ბრძანებით

თავი I

მისია, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი) დებულება წარმოადგენს სასწავლო/სამუშაო პროცესის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს;
- 1.2 კოლეჯს ხემძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს გამგეობა;
- 1.3 კოლეჯის დებულება (შემდეგში „დებულება“) აწესრიგებს სასწავლო პროცესის მენეჯმენტს, კოლეჯს შიგნით შრომით ურთიერთობებს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- 1.4 დებულება ადგენს და აწესრიგებს კოლეჯის ურთიერთობას პროფესიულ სტუდენტებთან, მათ უფლება-მოვალეობებს, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობებს
- 1.5 დებულება აწესრიგებს დამსაქმებელსა (კოლეჯს) და დასაქმებულთა შორის შრომით ურთიერთობებს.
- 1.6 კოლეჯი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. კოლეჯის საქმიანობის სახე და საქმიანობის ფორმები

- 2.1 კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს
- 2.2 კოლეჯს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონით არ არის აკრძალული და რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებს და ინტერესებს.
- 2.3 კოლეჯი ამ დებულებით გათვალისწინებული მისიის და მიზნების განსახორციელებლად:
 - ა) უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალით სასწავლო პროცესის მობილიზებას;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელების ხელშესაწყობად იწვევს მაღალკვალიფიციურ კადრებს.
 - გ) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად მიმდინარეობისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.
 - დ) უზრუნველყოფს კოლეჯში თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით.

მუხლი 3. კოლეჯის მისია

- ✓ საზოგადოების, სახელმწიფოსა და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, პროფესიონალი სპეციალისტების მომზადება.
- ✓ პრაქტიკოს-სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, მოთხოვნების დაკმაყოფილებას პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.
- ✓ მასწავლებლებისათვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- ✓ ურთიერთობა დამსაქმებლებთან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით
- ✓ სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება;
- ✓ განათლების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- ✓ ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;

მუხლი 4. მისიის რეალიზების ხერხები

4.1. მისიის განხორციელებისა და დასახული მიზნების მისაღწევად, კოლეჯში აღიარებული და უზრუნველყოფილია შემდეგი ძირეული აქტივობების განხორციელება:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიულ სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს ცოდნა და გაიღრმავოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები სწავლების ძირითად დარგში. ასევე საკუთარი სწავლის შედეგებში გააძლიეროს პროფესიული მოღვაწეობის უნარები.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს პიროვნების ინტელექტუალურ განვითარებისა და თანამედროვე დინამიურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავების შესაძლებლობებს. ყველა პროფესიული პროგრამის სწავლის შედეგად, კურსდამთავრებული იძენს უნარებს, რაც აუცილებელი წინაპირობაა მისი მომავალი პროფესიული განვითარების, სწავლის მომავალი საჭიროების განსაზღვრის, სწავლის შესაძლებლობის განვითარებისა და ახალ გარემოსთან ადაპტაციისათვის.

4.2. კოლეჯი იზიარებს და ქმედითი მექანიზმებით უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტუდენტის უფლებების რეალიზებას, ამასთან, ადგენს დამატებით სტანდარტებს თავისი პროფესიული სტუდენტებისათვის სასურველი სასწავლო კლიმატის შესაქმნელად, რისთვისაც:

ა) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის შეუცვლელი სწავლის საფასურის გადახდას სწავლის საფეხურის ხანგრძლივობის განმავლობაში;

ბ) ქმნის საუკეთესო მატერიალურ და ტექნიკურ პირობებს სწავლისათვის

4.3. განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად კოლეჯი ახორციელებს შემდეგ სტრატეგიებს:

- ა) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ამუშავება - ხარისხის მართვის სტრატეგიების შემუშავება, ხარისხის მართვის აპარატის ჩამოყალიბება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი სტრატეგიების შესაბამისად;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, პერსონალის და რესურსების პერიოდული შეფასება საქმიანობის თითოეული სუბიექტის (ხარისხის მართვის სამსახური, პერსონალი/პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) მიერ;
- გ) სტრატეგიული დაგეგმვა უმნიშვნელოვანესი მეთოდია კოლეჯის მართვაში, საკუთარი თავისა და გარემო ფაქტორების შეფასებაში. ამ მეთოდით ფასდება კოლეჯის სტრატეგიული ხედვები, ვლინდება ძლიერი და სუსტი მხარეები, მუშაობის პროცესში განისაზღვრება საკუთარი შესაძლებლობები და საფრთხეები.
- დ) გამოკითხვის შედეგად SWOT ანალიზის (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) საფუძველზე ფასდება ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება შესაძლებლობები და საფრთხეები, კოლეჯი ამტკიცებს სამოქმედო გეგმას
- ე) ადამიანური, პროგრამული და მატერიალური რესურსების განვითარების სტრატეგიების დასახვა და განხორციელება;
- ვ) ავტორიზაციის ყველა პროცესში მონაწილეობა;
- 4.4. კოლეჯი უზრუნველყოფს საკუთარი პროფესიული სტუდენტების მომზადებას საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული და თანამდროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

მუხლი 5. კოლეჯის მიზნები და ამოცანები

5.1 კოლეჯის მთავარი მიზნებია:

- ა) შექმნას თანამედროვე ტიპის საერთაშორისო სტანდარტის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ბ) მოამზადოს თანამედროვე თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები;
- გ) ხელი შეუწყოს იმ პროფესიული პროგრამების განვითარებასა და განხორციელებას, რომლებიც ამზადებს დღევანდელი ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე სპეციალისტებს.
- დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის მიზნით დაამყაროს კონტაქტები უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ე) ითანამშრომლოს საქართველოს სხვა პროფესიულ კოლეჯებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
- ვ) უზრუნველყოს სასწავლო ბაზის შექმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე პროფესიული განათლების მისაღებად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

5.2. ამ მიზნების შესრულებისათვის კოლეჯი:

- ა) ამზადებს პროფესიული სტუდენტს პროფესიული მოღვაწეობისათვის.
- ბ) ზრუნავს, როგორც მასწავლებლების ისე ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- გ) ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტების საჭიროებებსა და ქმნის მათთვის სწავლის საშეღავათო პირობებს.

- დ) თანამშრომლობს დამსაქმებლებთან;
- ე) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას, როგორც პროფესიული სტუდენტებსა და მოწვეულ მასწავლებლებს შორის;
- ვ) ქმნის ყველა პირობას, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის/მასწავლებლის, სწავლისა და სწავლების აკადემიური თავისუფლებისათვის;
- ზ) უზრუნველყოფს რელიგიურ და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს სასწავლო პროცესის განხორციელებაში.

მუხლი 6. მისიის გაზიარების პრინციპი

- 6.1. კოლეჯი თითოეული სტრუქტურული ერთეული თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში ვალდებულია ხელმძღვანელობდეს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული კოლეჯის მისიის განხორციელების მიზნებიდან და მისი ყოველდღიური საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ამ მიზნების რეალიზებისაკენ.
- 6.2. კოლეჯის მასწავლებლის/პერსონალის ერთ–ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს დაწესებულების მისიის გათავისება, მისი რეალიზების ქმედითი მექანიზმების განსჭვრეტა და მზაობა, აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროფესიული საქმიანობისათვის
- 6.3. პროფესიული სტუდენტები და პერსონალი ვალდებული არიან იცნობდნენ მისიას, ამასთან კოლეჯის სასწავლო პროცესის თითოეული მონაწილე უფლებამოსილია შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები მისიასთან დაკავშირებით.

მუხლი 7. სასწავლო პროცესის ენა

- 7.1. კოლეჯში სასწავლო საქმიანობა ხორციელდება ქართულ ენაზე.

თავი II

კოლეჯის მართვა, მართვის პრინციპები და სტრუქტურა

მუხლი 8. კოლეჯის მართვის ორგანოები

- 8.1 კოლეჯის მართვის ორგანოებია ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობა და კოლეჯის დირექტორი (რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს გამგეობა).
- 8.2 კოლეჯის დირექტორის უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია წინამდებარე დებულებით.

მუხლი 9. კოლეჯის სტრუქტურა

- 9.1 კოლეჯის სტრუქტურა შედგება კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის, დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რესურსისგან.
- 9.2 დირექტორის ბრძანებით შეიძლება განხორციელდეს სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და შექმნა. მათ უფლება–მოვალეობებს არეგულირებს თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები, მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულება.
- 9.3 კოლეჯის შრომითი ურთიერთობების რეგულირება:

ა) დასაქმებულთა, კერძოდ ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო დრო განისაზღვრება 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, ხოლო მოწვეული მასწავლებლების სამუშაო დრო განისაზღვრება მათ მიერ ჩასატარებელი ლექციების ხანგრძლივობის შესაბამისად, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

ბ) შესვენება განისაზღვრება 13:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე.

გ) სამსახურში გამოუცხადებლობის/დაგვიანების აუცილებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 საათით ადრე აცნობოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკისა მენეჯერს ან ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს.

დ) არასაპატიო მიზეზით, გაუფრთხილებლად სამსახურში 2-ჯერ გამოუცხადებლობის/დაგვიანების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეუწყდეს ხელშეკრულება.

მუხლი 10. კოლეჯის სასწავლო პროცესის გამნახორციელებელი პერსონალი

10.1 კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელშიც ჩართულია პროფესიული განათლების: მასწავლებლები, პრაქტიკის ხელმძღვანელები და პროგრამის ხელმძღვანელები

მუხლი 11. მასწავლებლები

11.1 კოლეჯში სალექციო კურსს კითხულობენ მოწვეული მასწავლებლები

11.2 პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მქონე ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

11.2 პროფესიული განათლების IV საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს არ აქვს უფლება იყოს V საფეხურის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

მუხლი 12. პრაქტიკის ხელმძღვანელები

12.1 პრაქტიკის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს 3 წლიანი გამოცდილება. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

12.2 პრაქტიკის ხელმძღვანელი ვალდებულია შეასრულოს პროფესიული პროგრამით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობები

მუხლი 13. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი

13.1 სწავლის/სწავლებისა სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობა.

13.2 პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირი- პროფესიული განათლების მასწავლებელი

13.3 პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

13.4 პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშ-ვალდებულია დირექტორის წინაშე.

13.5 პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) მის დაქვემდებარებაში შემავალი პროფესიული პროგრამის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, რა მიზნითაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანასა და განვითარებას;

ბ) უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში შემავალ პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, პროფესიული პროგრამის შემუშავება/დახვეწას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად

გ) ახორციელებს მის კომპეტენციას განკუთვნილ საქართველოს მოქმედ და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 14. კოლეჯის დირექტორი

14.1. დირექტორი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს კოლეჯის სახელით

14.2. კოლეჯის თანამშრომლებს ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

14.3 თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დირექტორი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- ა) ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
- ბ) ამყარებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე საგანმანათლებლო ურთიერთობებს;
- გ) კოორდინაციას უწევს კოლეჯის საქმიანობას

14.4 დირექტორი ვალდებულია:

- ა) კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით მართოს კოლეჯი მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
- ბ) დაიცვას კოლეჯის პატივი და ღირსება, როგორც კოლეჯის შიგნით, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 15. კოლეჯის მართვის პრინციპები

15.1 კოლეჯში მართვის პრინციპები ეფუძნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ადამიანის ძირითადი და ფუნდამენტალური უფლებების დაცვას.

15.2 კოლეჯი უზრუნველყოფს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვას.

15.3 კოლეჯი თავისი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთა ინტერესების დაცვას

თავი III

სასწავლო პროცესი და კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

მუხლი 16. კოლეჯის სასწავლო პროცესი

16.1 კოლეჯი ხელმძღვანელობს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

16.2 კოლეჯში სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება პროგრამებით.

16.3 კოლეჯში სასწავლო პროცესი დაწყება, დამთავრების და შესვენების საათები განისაზღვრება დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტთა შეფასების წესი და კვალიფიკაციის მინიჭება

17.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

17.2 შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

17.3 განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

18.4 განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

17.5 განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

17.6 განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ.

17.7 პროფესიული სტუდენტის/ პროფესიული სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.

17.8 შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

17.9 პროფესიული სტუდენტის ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით, რომელიც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებამდე, კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ მტკიცებულებები იქნება ლიკვიდირებული. უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

17.10 აუცილებელი არაა ყველა სწავლის შედეგი ცალ-ცალკე შეფასდეს. შესაძლებელია შეფასდეს რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად ან ყველა ერთად - მოდულის ბოლოს. აღნიშნული უნდა აღიწეროს მოდულის მტკიცებულებების შეგროვების ნაწილში.

17.11 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამის კვალიფიკაციას ანიჭებს საკვალიფიკაციო საბჭო და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

17.12 პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები (ყველა ზოგადი სავალდებულო, პროფესიული სავალდებულო და არჩევითი მოდულებით განსაზღვრული კრედიტების მიღებით).

თავი IV

კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამები

მუხლი 18. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამები

18.1 კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს

მუხლი 19. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა

19.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

19.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაღალკვალიფიციურად რეალიზებისათვის შესაძლებელია მასში აქტიურად იქნებიან ჩართულები დამსაქმებელთა წარმომდგენლები

19.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანართს წარმოადგებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები.

19.4 დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაიტანება პროგრამის დამტკიცების თარიღი, დირექტორის ხელმოწერა, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა.

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

20.1 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნებია:

- ა) უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან;
- ბ) შემოწმდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობა, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების მოლოდინების დაკმაყოფილების ხარისხი.
- გ) კონტროლი გაეწიოს პროფესიული პროგრამის ადექვატურობას პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგებთან;
- დ) შემოწმდეს პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების შესატყვისობა პროფესიული პროგრამის მოთხოვნებთან;
- ე) დადგინდეს პროგრამის როლი კოლეჯის მისიის რეალიზებაში.

20.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პრინციპებია:

- ა) სისტემატურობა
- ბ) გამჭვირვალობა;
- გ) შეფასების შიდა და გარე მეთოდების კომბინირება;
- დ) შეფასებაში პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ჩართულობა;
- ე) პროფესიული პროგრამის შეფასებაში პოტენციურ დამსაქმებელთა პოზიციის გათვალისწინება.

20.3 პროფესიული პროგრამის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ინდივიდუალურად, ან კოლეჯის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში.

20.4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებიდან სამი თვის ვადაში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იხილავს პროგრამის შეფასების შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის მოწონების, მოდიფიცირების, პროგრამის რესურსების ცვლილებისა ან პროგრამის გაუქმების თაობაზე, რაც წარდგინება დირექტორს დასამტკიცებლად

20.5 შეფასება ხორციელდება შემუშავებული კითხვარებით/ანკეტებით

20.6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები აისახება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში/პროგრამებში და სხვა დოკუმენტაციაში

მუხლი 21. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წყაროები

21.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების დროს მოწმდება:

- ა) დაწესებულების მატერიალური რესურსები
- ბ) დაწესებულების ადამიანური რესურსები
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების მოლოდინები

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომით ბაზარზე;

21.2 კოლეჯის მატერიალური რესურსების შემოწმების დროს, დგინდება, არის თუ არა კოლეჯის სარგებლობაში არსებული რესურსი პროფესიული პროგრამებით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად საკმარისი.

21.3 მატერიალური რესურსების შეფასებისას მხედველობაში მიიღება დაწესებულების სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთების ვარგისიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად, საბიბლიოთეკო რესურსების ადექვატურობა

21.4 დაწესებულების ადამიანური რესურსებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტის უზრუნველყოფა შესატყვისი კომპეტენციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანური რესურსით, ასევე შეფასება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მიერ.

21.5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების მოლოდინების შეფასების დროს კოლეჯი ახორციელებს ანკეტური გამოკითხვების გზით კვლევას კონკრეტული სამიზნე ჯგუფების (პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, გასათვალისწინებელი და შესაცვლელი კომპონენტების დადგენას.

21.6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შემოწმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს მისი კურსდამთავრებულების თანხმობით, ინფორმაციის შეგროვებას მათი პროფესიული და აკადემიური საქმიანობის შესახებ, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქცენტების კონკრეტიზაციას.

მუხლი 22. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლა და გაუქმება

22.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება ხდება:

ა) თუ შესაბამისი ნორმატიული საფუძველის ცვლილების გამო, პროფესიული პროგრამა აღარ შეესაბამება წყენებულ მოთხოვნებს;

ბ) თუ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგად, პროფესიული პროგრამამ არადაამაკმაყოფილი შეფასება დაიმსახურა;

გ) თუ აღნიშნულ პროფესიული პროგრამაზე რიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 7-ზე ნაკლებია;

დ) თუ კოლეჯის მიზნების შეცვლის შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ შეესაბამება კოლეჯის საქმიანობის სტრატეგიებს.

22.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება ხდება დადგენილი პროცედურების დაცვით.

მუხლი 23. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

23.1 კოლეჯი საკუთარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტს შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით.

23.2 პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში), სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროფესიული პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა დაწესებულებაში.

23.3 პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული პროფესიული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გატარების შესახებ.

23.4 შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

23.5 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტებს სურვილი აქვს სწავლა განაგრძონ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის მიღებად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

23.9 კოლეჯის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმის (შეთანხმების) საფუძველზე პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლისა და მათი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების უფლებით, კოლეჯში აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების შეწყვეტის შემთხვევაში.

23.7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად კოლეჯი უზრუნველყოფს მათთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.

მუხლი 24. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევანის გამჭვირვალობა

24.1 დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას, ამ მიზნით:

ა) დაწესებულება ოფიციალურ ვებ გვერდზე განათავსებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგს, რომელიც მოიცავს:

ინფორმაციას დაწესებულების შესახებ;

საკონტაქტი პირის ვინაობას;

მისანიჭებელი კვალიფიკაციებს;

პროფესიული პროგრამების მიზნებს,;

სწავლის შედეგებს;

კრედიტებს ;

შეფასების წესებს;

ბ) კოლეჯი განახორციელებს კონსულტაციებს აბიტურიენტებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით

თავი V

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების წესი

მუხლი 25. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ზოგადი პრინციპები

25.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება გულისხმობს კოლეჯში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში ათვისებული კრედიტებისა ან მიღებული სწავლის

შედეგების შედარებას კოლეჯის იმ პროფესიულ პროგრამასთან, რომელზეც პროფესიული სტუდენტი აგრძელებს ან ანახლებს სწავლას.

25.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პროცედურის განხორციელების საფუძველზე კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას, პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების რა ნაწილს ცნობს იგი საკუთარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის და აღნიშნულის შესაბამისად, განსაზღვრავს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რომელი ნაწილიდან განაგრძობს პროფესიული სტუდენტი სწავლას.

მუხლი 26. პროფესიული პროგრამები, რომელთა სწავლის შედეგებს აღიარებს კოლეჯი

26.1 ამ თავით დადგენილი წესით აღიარებას ექვემდებარება:

ა) დაწესებულების იმ პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 27. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პირობები

27.1 კოლეჯი არ აღიარებს პროგრამებს, რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ განეკუთვნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

მუხლი 28. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების წესი

28.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის (აკადემიური ცნობის) შესწავლით, აგრეთვე შესაძლებელია მოიცვას პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული სწავლის შედეგების დადასტურების შედარების ამსახველი დოკუმენტაციის შინაარსობრივი კვლევა.

28.2 პროფესიული პროგრამის აღიარების დროს ხდება პირის მიერ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების შედარება კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

28.3 პროფესიული პროგრამის აღიარებაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესით დადგენილი პირობებით, ახდენს პროფესიული პროგრამის აღიარების მსურველის დაგროვებული კრედიტების შედარებას ამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან.

28.4 დოკუმენტაციის კოლეჯში წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობა შესაძლებელია გახდეს შესაბამისი კრედიტების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 29. პროფესიული პროგრამების ურთიერთაღიარების გამარტივებული წესი

29.1 კოლეჯი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აფორმებს შეთანხმებებს (მემორანდუმებს) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთაღიარების შესახებ.

29.2 კოლეჯსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების შორის მსგავსი მემორანდუმის არსებობის შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღიარება განხორციელდება გამარტივებული, ამ მემორანდუმით დადგენილი წესით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არსებული კანონმდებლობის მოთხოვნა

29.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთაღიარების მემორანდუმის არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი სრული მოცულობით აღიარებს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს.

მუხლი 30. პროფესიული პროგრამის აღიარების გაფორმება და მისი შედეგები

30.1 პროფესიული პროგრამის აღიარება ფორმდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დასკვნის საფუძველზე პროფესიული პროგრამის აღიარების შესახებ, რომელშიც დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული პროგრამისა და მიმღები დაწესებულების პროფესიულ პროგრამას შორის და კოლეჯის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

30.2 დასკვნა წარდგინდება დირექტორს, რის შემდეგ გამოიცემა დირექტორის სამართლებრივი აქტი

30.3 ნულოვანი შესაბამისობა პირის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას შორის არ ართმევს ამ პირს უფლებას ჩაირიცხოს მიმღებ დაწესებულებაში. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია სრულად გაიაროს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

30.4 პროფესიული სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია განსხვავებული საგნების გავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით მიმდინარე პერიოდში გათვალისწინებულ საგნებთან ერთად, ინდივიდუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

თავი VI

პროფესიული სტუდენტი

მუხლი 31. პროფესიული სტუდენტი

31.1 პროფესიულ სტუდენტად ითვლება ის პირი, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებითა და კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

მუხლი 32. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და სტატუსის მოპოვება

32.1 კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება წელიწადში ორჯერ: საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღება.

32.2 კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე აცხადებს აპლიკანტთა მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

32.3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე; (არასრულწლოვანი განმცხადებელის ნაცვლად განცხადებას ადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი).

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; (არასრულწლოვანი განმცხადებელის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

გ) სრული ზოგადი/საბაზო/საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

დ) 2 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე.

ე) იმ პროფესიული პროგრამაზე ჩასარიცხად, რომელსაც აქვს წინა საფეხური, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს წინა საფეხურზე სწავლის დასრულების

დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი ან არაფორმალური განათლების წესით შესაბამისი საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტი).

32.4 დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება მსურველთა შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით, პროფესიულ სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება და მონაცემები შეიყვანება პროფესიული სტუდენტურ ბაზაში.

32.5 პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ძალაშია პროფესიული პროგრამის კონკრეტული საფეხურის დასრულებამდე (შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემამდე, თუ მხარეები სხვა რაიმეზე არ შეთანხმდებიან).

32.6 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის (მობილობის) წესით

32.7 პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია და გააფორმოს კოლეჯთან სასწავლო ხელშეკრულება

32.8 რეგისტრაციის გავლის და ხელშეკრულების გაფორმების შედეგად პირი მოიპოვებს საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული სტუდენტის სტატუსს და ისარგებლებს პროფესიული სტუდენტის ყველა უფლება-მოვალეობით.

მუხლი 33. აკადემიური რეგისტრაცია

33.1. რეგისტრაციის მიზანია:

- ა) დაადასტუროს სტუდენტის მიერ შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე სწავლის სურვილი;
- ბ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის რეგისტრაცია

მუხლი 34. ხელშეკრულება კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის

34.1 გარდა წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებისა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების აუცილებელი პირობაა, პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან ხელშეკრულების გაფორმება.

34.2 პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

- ა) ხელშეკრულების მხარეები (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში სავალდებულოა მშობლის, ან კანონიერი წარმომადგენლის დასტური);
- ბ) მხარეთა რეკვიზიტები;
- გ) სწავლების საფასური;
- დ) მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- ე) მხარეთა ხელმოწერა.

34.3 ხელშეკრულებას ხელს აწერს ერთი მხრივ დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი და მეორეს მხრივ სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, ან არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი.

34.4 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 35. სწავლის საფასური, მისი გადახდის წესი და შეღავათები

35.1 კოლეჯში სწავლის საფასურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ადგენს დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით.

35.2 სწავლის საფასურის ოდენობა გადახდილი უნდა იყოს სწავლის დაწყებამდე

35.3 დირექტორის ბრძანებით შესაძლებელია განისაზღვროს სწავლის საფასურის გადახდის სხვა გრაფიკი.

35.4 სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, კოლეჯის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

მუხლი 36. პროფესიული სტუდენტის უფლებები

36.1 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი პროფესიული განათლება, აქტიურად იყოს ჩართული კოლეჯის ყოველდღიურ საქმიანობაში.

36.2 დაუშვებელია პროფესიული სტუდენტების კანონის საფუძველზე მინიჭებული თავისუფლების შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ დებულებით დადგენილი კოლეჯის მისიის, მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისაკენ.

36.3 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- ა) გამოცხადებულ ვადაში შეავსოს აკადემიური რეგისტრაციის განაცხადი
- ბ) დაესწროს მეცადინეობებს სასწავლო ცხრილის შესაბამისად;
- გ) საპატიო მიზეზის გარეშე არ გააცდინოს სააუდიტორიო მუშაობები;
- დ) დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესის დაცვით გადაიხადოს სწავლის საფასური
- ე) გააფორმოს კოლეჯთან ხელშეკრულება;
- ვ) დაიცვას კოლეჯის დებულებით განსაზღვრული მოვალეობები ;
- ზ) დაიცვას ეთიკის ნორმები.

მუხლი 37. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

37.1 პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს კოლეჯს განცხადებით, მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა, და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და პროფესიული სტუდენტის სხვა უფლება-მოვალეობებისგან გათავისუფლების თაობაზე, განცხადებაში მითითებული ვადით.

37.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწვეტის საფუძველი.

37.3 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის (აკადემიური შვებულება) გარდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:

- ა) ავადმყოფობა;
- ბ) უცხო ქვეყანაში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
- გ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა (ფინანსური დავალიანება);
- დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

37.4 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, კოლეჯი და პროფესიული სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

37.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი/კანონიერი წარმომადგენელი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ წერილობით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.

37.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) უფლებით.

37.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები რაც გახდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

37.8. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე დირექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

მუხლი 38. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

38.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:

ა) შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) პირადი განცხადება;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნის მიღწევის შეუძლებლობა აკადემიური მოუსწრებლობის გამო

დ) კანონიერ ძალაში შესული განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა ან/და წერილობითი ფორმით სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა

ვ) კოლეჯის დებულების და სხვა შიდა სამართლებრივ აქტების განზრახ უხეში დარღვევა, რაც მნიშვნელოვანს ზიანს მიაყენებს (განზრახ დაზიანდება სასწავლო აღჭურვილობა, სასწავლო ოთახები, სტუდენტისთვის მიუღებელი ყოფა-ქცევა და სხვ.) კოლეჯს, მის პროფესიულ სტუდენტებს, მასწავლებლებს თუ ადმინისტრაციულ პერსონალს;

ზ) გარდაცვალება.

38.2. კოლეჯი ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს დაინტერესებულ პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია, მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის საშუალება.

38.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება დირექტორის დასაბუთებული ბრძანებით.

38.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

38.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

38.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანებაზე კოლეჯის დირექტორის ხელმოწერისთანავე. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან (დებულებასთან).

მუხლი 39. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცედურა

39.1 კოლეჯში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანის (მობილობის) პროცესს წარმართავს კოლეჯი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

39.2 მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა იმ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ავტორიზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

39.3 კოლეჯში ჩარიცხვისათვის პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება; (არასრულწლოვანი განმცხადებელის ნაცვლად განცხადებას ადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი).

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; (არასრულწლოვანი განმცხადებელის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

გ) სრული ზოგადი/საბაზო/საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სასწავლო ბარათის ასლი (დამოწმებული გამომშვები დაწესებულების ბეჭდით)

ე) 2 ფოტოსურათი 3X4-ზე;

39.4 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და კოლეჯი იხილავს მობილობის მსურველის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ადგენს გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების შესაბამისობას კოლეჯში განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და ადგენს დასკვნას, მობილობის მსურველის სწავლის შედეგების დადასტურების შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან.

39.5 მობილობის განხორციელება აისახება დირექტორის ბრძანებაში

მუხლი 40. შიდა მობილობის განხორციელების წესი

40.1 შიდა მობილობა გულისხმობს პროფესიული სტუდენტის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გადასვლას კოლეჯის სხვა პროფესიულ პროგრამაზე, ერთი საფეხურის ფარგლებში.

40.2 შიდა მობილობის განხორციელება დასაშვებია სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

40.3 შიდა მობილობის განხორციელების მსურველი განცხადებით შიდა მობილობის განხორციელების თაობაზე მიმართავს დირექტორს. დირექტორის დავალებით განცხადება რეაგირებისათვის გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს

40.4 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იხილავს წარმოდგენილ განცხადებას, და ადგენს შიდა მობილობის მსურველის კომპეტენციების შესაბამისობას ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან

40.5 პროფესიული პროგრამების თავსებადობის განსაზღვრის დროს გამოიყენება ამ წესის მე-6 თავით დადგენილი წესი.

40.6 კოლეჯი უფლებამოსილია მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს განსხვავებული საგნების გავლა ინდივიდუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

40.7 შიდა მობილობის განხორციელება აისახება დირექტორის ბრძანებაში.

თავი VII

გარდამავალი დებულებები

მუხლი 41. გარდამავალი დებულებები

41.1 წინამდებარე დებულებებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, დირექტორის ბრძანებით.

41.2 წინამდებარე დებულება ძალაში შედის, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე თანხმობის მიღების შემდგომ